თიბისი ბანკი

# კომპიუტერული კომპლექტების დემონტაჟი-მონტაჟი 2 წლით

სატენდერო დოკუმენტაცია



სს “თიბისი ბანკი” შემდგომში “მყიდველი” გიწვევთ ღია ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობისათვის და გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი წინადადებები შესყიდვების ელექტრონული სისტემის – tenders.ge საშუალებით.

## I. ტენდერში მონაწილეობის წესები

**წინადადებების ატვირთვა შესაძლებელია 29.01.2025წ. 12:00 საათიდან 18:00 საათამდე.**

**ტექნიკური ხასიათის კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით:**
იოსებ გოლუბიანი 595 11 77 55 igolubiani@Tbcbank.com.ge

**სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება/წარდგენასთან დაკავშირებით:**
ვახტანგ ქიტუაშვილი 599 88 45 30 Vkituashvili@Tbcbank.com.ge

- ტენდერის შემდგომ დაზუსტების მიზნით მოწოდებული ყველა ტიპის ინფორმაცია (მათ შორის ელექტრონული სახით) ითვლება წინადადების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილად.
- გამარჯვებულად მიიჩნევა და ხელშეკრულება დაიდება იმ მონაწილესთან, რომელიც წარმოადგენს საუკეთესო ფასს და დააკლმაყოფილებს გამოცხადებულ პირობებს.
- მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია ელ. ფოსტით, მისამართზე Procurement@Tbcbank.com.ge
- ბანკის მიერ შესაძლებელია შეწყდეს ტენდერი, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში (მხოლოდ ერთი სატენდერო განაცხადი და ა.შ.), რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე;

## II. ძირითადი მომსახურების პირობები:

- ბანკი ტენდერში მონაწილეობისთვის არ ითხოვს მსგავსი ტიპის მომსახურების გამოცდილების დადასტურებას, თუმცა გამარჯვებულად გამოვლენამდე შესაძლოა გაიმართოს გასაუბრება მინიმალურ IT კვალიფიკაციაში დარწმუნებისათვის.

- შეტყობინება გამოძახებაზე ბანკის მხრიდან იგზავნება მინიმუმ 2 სამუშაო დღით ადრე ელ.ფოსტით ან სხვა საკომუნიკაციო საშუალებით.
- კრიტიკულ შემთხვევაში, გამონაკლისის სახით, (ასეთი შემთხვევები არ უნდა აღემატებოდეს წლის განმავლობაში 6 გამოძახებას) შეტყობინება გამოძახებაზე ბანკის მხრიდან გაიგზავნება 1 კალენდარული დღით ადრე.

- კომპანიის მხრიდან შეკვეთის მიღების დადასტურების ვადა განისაზღვრება მაქსიმუმ 1 სამუშაო დღით;
- მომსახურება მოიცავს ერთ ჯერზე მინიმუმ 10 სამუშაო ადგილის ტექნიკით მოწყობას.
- სამუშაოები ჩატარდება დამკვეთთან წინასწარ შეთანხმებულ დროს, კვირის ნებისმიერ დღეს (შაბათ-კვირის ჩათვლით) და რიგ შემთხვევებში ოფიციალური დასვენების დღეებშიც.
- მომსახურება მოიცავს რეგიონებში სამუშაოების ჩატარებას.
- კომპიუტერულ კომპლექტში მოიაზრება :
  - IP ტელეფონი;
  - მონიტორი;
  - ქეისი;
  - იუპიესი;
  - კლავიატურა და მაუსი;
  - პრინტერი (რიგ შემთხვევებში);
  - დენის გამანაწილებელი, დამაგრძელებელი (რიგ შემთხვევებში);
  - სკანერი (რიგ შემთხვევებში)

## სამუშაო ადგილის მონტაჟი:

- კომპიუტერული ტექნიკა მარკირებული იქნება მომხმარებლის სახელის და მაგიდის მიხედვით.
- ასაწყობი ტექნიკა განთავსებული იქნება ობიექტის ტერიტორიაზე, ერთ წერტილში.
- სამუშაო ადგილის მონტაჟის პროცესი წარმოადგენს:
  1. კომპიუტერული ტექნიკის გადაადგილება ოფისის ან ოთახის „თავმოყრის" ადგილიდან სამუშაო მაგიდამდე.
     **ფილიალის შემთხვევაში გადაადგილებას ემატება ტექნიკის გამოთავისუფლება ქარხნული შეფუთვიდან.**
  2. მაკომპლექტებელი ნაწილების ერთმანეთთან შეერთება კაბელებით, კომპლექტის შეერთება დენის წყაროზე და ქსელის ბუდეში.
  3. კაბელების შეკვრა უნდა მოხდეს პლასტიკატის ე.წ. ხამუტებით. მონტაჟისას ხამუტების ზედმეტი ნაწილი უნდა ჩამოიჭრას.. ხამუტებს უზრუნველყოფს მომსახურე კომპანია. (**ხამუტებით შეკვრა არა ყველა შემთხვევაში.)**
  4. მონიტორის განთავსება მაგიდაზე .
     **ფილიალების შემთხვევაში მონიტორის განთავსებას ემატება მისი კრონშტეინზე ინსტალაცია და კაბელების გატარება კრონშტეინში. (არა ყველა მაგიდაზე)**
  5. კეისის განთავსება მაგიდასთან. **ფილიალის შემთხვევაში თხელი კლიენტის დამაგრება კრონშტეინზე.**
  6. იპ ტელეფონის განთავსება მაგიდაზე .
  7. კალავიატურა და მაუსის განთავსება მაგიდაზე.
  8. იუპიესის განთავსება და დენის წყაროში შეერთება.
  9. პრინტერის განთავსება სამუშაო მაგიდასთან .
  10. დენის გამანაწილებელის (გამაგრძელებელი) დაერთება **(არა ყველა შემთხვევაში).**

## სამუშაო ადგილის დემონტაჟი:

1. კომპიუტერული ტექნიკის მაკომპლექტებელის ერთმანეთისგან განცალკევებას, კაბელების გათავისუფლებას და გადაადგილებას ოფისის „თავმოყრის“ ადგილზე. **ფილიალების შემთხვევაში მონიტორის დაშლას ემატება მისი მოხსნა კრონშტეინიდან და კაბელების გათავისუფლება. (არა ყველა მაგიდაზე)**

**<u>შენიშვნები:</u>**

- ტრანსპორტირებაზე მითითებული ღირებულება მოიცავს ორ მიმართულებას (მაგ: თუ მანძილი 100 კმ-ია, ფასი მრავლდება 100-ზე და გულისხმობს გამგზავრება-გამომგზავრებას).
- მომსახურება ძირითადად კონცენტრირებულია თბილისზე. იშვიათ შემთხვევაში შესაძლოა მოხდეს ერთ დიდ სივრცეში 80-100 სამუშაო მაგიდის დემონტაჟი და მონტაჟი.
- მომსახურების შესრულებას კოორდინაციას გაუწევს ბანკის მხრიდან მივლენილი თანამშრომელი.
- მომსახურება არ მოიცავს ავეჯის გახვრეტას კაბელების გაყვანის მიზნით, კომპლექტის ტრანსპორტირებას ან დასაწყობებას ობიექტის გარეთ, კროშტეინის მონტაჟს.
- სამუშაო მაგიდამდე უზრუნველყოფილია დენის და ქსელის წერტილები.
- კომპანიამ უნდა უზრუნველყოს ობიექტი იმდენი კადრით, რომ სამუშაო შესრულდეს წინასწარ დათქმულ, გონივრულ ვადებში. საშუალოდ 40 კაციანი ფილიალი აწყობა ხდება 1 სამუშაო დღეში, 50 კაციანი ოფისის დაშლა 3-4 სთ-ში, 50 კაციანი ოფისის აწყობა -1 დღეში.

**სხვა დამატებითი მომსახურების ღირებულების შეთანხმება, რასაც არ გაითვალისწინებს ხელშეკრულება, მოხდება პირადი მოლაპარაკების საფუძველზე - კონკრეტული დაკვეთის მიხედვით.**

## III. ტენდერის ფარგლებში პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- კომპანიის რეკვიზიტები, საქონლის დეტალური ტექნიკური აღწერა და განფასება (**სატენდერო დანართი N1**);
- სრულად შევსებული KYP ფაილი - იცნობდე შენს პარტნიორს;
- ხელმოწერილი და დასკანერებული აფიდავიტის ფორმა;